საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/40 " 6 " მაისი 2019 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის სარემონტო სამუშაოების განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულმა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა წერილობით აცნობა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რომ 2020 წელს იგეგმება ახალქალაქის რაიონული სასამართლოს შენობა-ნაგებობის რეაბილიტაცია და მიშენების განხორციელება, რისთვისაც მიმდინარე წელს საჭიროა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. აღნიშნული დოკუმენტაციის შესყიდვისათვის საჭირო ტენდერის გამოცხადებამდე აუცილებელია სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან შესაბამისი თანხმობის მიღება. თავის მხრივ, სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ გადაწყვეტილების მისაღებად მოითხოვა სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს წერილობითი თანხმობა დაგეგმილი პროექტის განხორციელების თაობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა მოითხოვა თანხმობის მიცემა აღნიშნული სასამართლოს შენობა-ნაგებობის რეაბილიტაციისა და მიშენების განხორციელებისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 აგვისტოს №239 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სარგებლობაში გადაცემული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის, რემონტის, დემონტაჟის ან ლიკვიდაციის შედეგად მიღებული ან დემონტაჟის შედეგად მისაღები ვარგისი ნაწილებისა და მასალების ამ ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ აღნიშნული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის, რემონტის, დემონტაჟის ან ლიკვიდაციის ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით გასხვისების ან სხვა ნებისმიერი სახით განკარგვის წესის“ მე-3 მუხლის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განახორციელოს ახალქალაქის რაიონული სასამართლოს შენობა-ნაგებობის რეაბილიტაცია და მიშენების განხორციელება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი